

განმარტებითი შენიშვნები

შესავალი

2020 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ნაერთი წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე. დარიცხვის მეთოდის შესაბამისად

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდაციას ექვემდებარება ორგანიზაციების ნაერთი ფინანსური ანგარიშგებები. მათ მიერ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მოთხოვნების გათვალისწინებით.

კონსოლიდირებული ეკონომიკური ერთეულები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგი ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებს:

შპს მედიქალ ვორლდი 406156109

შპს ემლაბ სამცხე 404605619

შპს ემლაბ ბათუმი 445588490

შპს სენალაბი 405410764

შპს ემლაბ 412755068

ფინანსური ანგარიშგება და ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობაზე და მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია საწყისი (ისტორიული) ღირებულება; იშვიათ შემთხვევაში - რეალური (გადაფასებული) ღირებულება.

ანგარიშგების თარიღი

ორგანიზაციების კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების თარიღია 2020 წლის 31 დეკემბერი

საანგარიშგებო პერიოდი

ორგანიზაციების კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი, 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საანგარიშგებო ვალუტა

სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მზადდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. დამრგვალება ხორციელდება ათასებამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშგებო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, რომელზეც ვრცელდება IPSAS 4 -ის “უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები” მოთხოვნები. საანგარიშგებო თარიღისათვის გადაანგარიშებას ექვემდებარება უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები, რომელთა არსებითი მახასიათებელი არის უფლება, მიიღო ან ვალდებულება, რომ შეასრულო ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრული ოდენობა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული არაფულადი მუხლები, რომელთა მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს უფლების არქონა, მიიღო ან ვალდებულება, რომ შეასრულო ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრული ოდენობა, არ ექვემდებარება გადაანგარიშებას საანგარიშგებო თარიღისათვის, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც არაფულადი მუხლების გადაანგარიშება ხდება ახალ სამუშაო ვალუტაში;
- როდესაც ხდება უცხოური ერთეულის არაფულადი მუხლების ეკონომიკური ერთეულისთვის დადგენილ ერთიან საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშება.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ფულადი მუხლების დაფარვისას, ან საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი მუხლების თავდაპირველი აღიარებისას გამოყენებული კურსისაგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას, აღიარდება როგორც კაპიტალის ცვლილება, არასაოპერაციო შემოსავლის/არასაოპერაციო ხარჯის სახით.

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა

საგადასახადო მიზნებისათვის, ერთეულების მიერ გადასახადების გაანგარიშება და გადახდა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება სახელმწიფო სექტორში მოქმედი აღრიცხვის და ანგარიშგების ნორმებით და პრინციპებით, რომელიც განსხვავდება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებისგან.

ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარ მოვლენებს მიეკუთვნება ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის. მოვლენები, რომლებზეც ერთეულს გააჩნია მტკიცებულებები ანგარიშგების თარიღისათვის პირობების არსებობაზე, განიხილება ანგარიშგების თარიღის შემდგომ

მაკორექტირებელ მოვლენებად, ხოლო მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილ პირობებზე – ანგარიშგების თარიღის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენებად. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების შემთხვევაში ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება ან ისეთი მუხლების აღიარება, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული, ხოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

აქტივები და ვალდებულებები

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამიჯნულია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად.

აქტივი მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივად მიიჩნევა თუ ეს უკანასკნელი ქვემოთ მითითებულ რომელიმე კრიტერიუმს მაინც აკმაყოფილებს:

- ნავარაუდევია აქტივის რეალიზაცია, ან გამიჯნულია გასაყიდად ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივები, რომელთა გამოყენება(მოხმარება) მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღიდან ერთი წლის ან/და საბიუჯეტო წლის განმავლობაში
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მის ეკვივალენტებს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეუძლებელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც).

ყველა სხვა აქტივი, რომლებიც არ მიეკუთვნება მოკლევადიან აქტივებს, გრძელვადიან აქტივებად განიხილება. აქტივები ძირითადად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულს ასევე ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ოპერაციები აღრიცხულია ოპერაციის დღეს არსებული კურსით, ხოლო კურსთა შორის სხვაობა ასახულია არასაოპერაციო შემოსავლებში/ხარჯებში.

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსურ აქტივებზე და მოთხოვნებზე დარიცხული ჯარიმები და სანქციები ასახულია შემოსავლებში და აქტივების ცალკე ანგარიშზე.

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების სახით. გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი ასახულია როგორც მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება.

ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში თავდაპირველად აისახება საწყისი (ისტორიული) ღირებულებით, რომელიც ყოველწლიურად მცირდება ცვეთის თანხით. საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან.

ცვეთის ნორმები ძირითადი აქტივების თითოეული კატეგორიისთვის მერყეობს 5%-დან 40%-მდე.

ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვისა და რემონტის დანახარჯები, რომლითაც არ იზრდება ძირითადი აქტივების ღირებულება, განიხილება ხარჯებად, ხოლო არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

ვალდებულებები

ვალდებულებები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები, დაყოფილია მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებად და სხვა კრედიტორულ დავალიანებებად. ვალდებულებები ითვლება მოკლევადიანად (მიმდინარედ), თუ იგი ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც აკმაყოფილებს:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ერთეულს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში;

- საანგარიშო წლის დაზუსტებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში და ასევე ასიგნების ზევით კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღებული ფინანსური ვალდებულება.

ყველა სხვა ვალდებულება, რომლებიც არ მიეკუთვნება მოკლევადიან ვალდებულებებს, გრძელვადიან ვალდებულებებად განიხილება.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების (მათ შორის, ფინანსური იჯარის) და ფასიანი ქაღალდების სახით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები ანგარიშგების თარიღისათვის გადაყვანილია საანგარიშგებო ვალუტაში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კაპიტალი

წმინდა ღირებულება

წმინდა ღირებულება წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც გაანგარიშებულია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებულ ხარჯებსა და შემოსავლებს შორის სხვაობით, კორექტირებულია საარრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შეცდომის გასწორებით, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებით და აქტივების და ვალდებულებების ოპერაციების გარეშე წმინდა ცვლილებით (არასაოპერაციო შემოსავლები/არასაოპერაციო ხარჯები)

გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგების თანხების გაანგარიშებაში მონაწილეობს ორგანიზაციების საქმიანობის შედეგად გასულ წლებში მიღებული მოგების გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიშო წლის მოგების თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი.

დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, გაკეთდა ანალიზი თითოეული მხარჯავი დაწესებულების (მაკონტროლებელი ერთეულის) ფინანსური ანგარიშგების სიზუსტის და მისი შესაბამისობის დასადგენად აღრიცხვის და ანგარიშგების არსებულ მეთოდოლოგიასთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების და ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესაბამისობის დადგენას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან.



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	88703	0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	845223	0	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	847631	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	847631	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	299743	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2081300	0	0
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	537590	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11297	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	2741	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	724411	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	1276039	0	0
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	91500	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	713761	0	0



გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	805261	0	0
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	805261	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2081300	0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები	933926	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	551628	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	3995042	0
საქონლის გაყიდვიდან	3971158	0
მომსახურების გაწვიდან	23884	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2787649	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1207393	0
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-179665	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-56707	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-9153	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-245525	0
საოპერაციო მოგება	961868	0

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0



მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-156607	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	805261	0
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	805261	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადას	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	805261	0
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	805261	0
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	805261	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	805261	0
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	805261	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	805261	0

